

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXXb — XXXIb

ილია აგულაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

### 2.\* „გა[ნ]ქიქება“

„ვეფხისტყაოსნის“ ეს სიტყვა, რომლის შინაარსის დადგენას აქ ჩვენ მიზნად ვისახავთ. პროლოგის ერთ-ერთს სტროფში გვხვდება. იგი შემდეგნაირად იკითხება:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;  
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,  
ფგია ჩემი სიციცხლე. უწყალო ვითა ჯიქია;  
მისი სახელი შეფარვით, ქვემოზე მითქვამს, მიქია“.

(საიუბ. გამოც. მე-19 სტროფი).

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბექდურო გამოცემის დროიდან მოყოლებული აღნიშნული სტროფი, როგორც წაკითხვით, ისე ამათუიმ სიტყვის გაგებით, ცილობას იწვევდა ტექსტის დამდგენთა და მკვლევარ-კომენტატორთა შორის.

წაკითხვის მხრით, მაგალითად, ვახტანგისეული გამოცემა, ანგარიში რომ არ გაეუწიოთ ორთოგრაფიას, ასეთ სხვაობებს გვიჩვენებს: 1. ესე მიჩნს| ეს მიჩანს; 2. შეფარვით| შეფრქვევით.

პროფ. იუსტინე აბულაძის გამოცემანი თითქმის ისევე წარმოადგენენ ტექსტს, როგორც ეს საიუბილეო გამოცემაშია, გარდა ერთისა, აქაც, ისე როგორც ვახტანგისეულს გამოცემაში, იკითხება „ესე მიჩნს“-ის ნაცვლად „ეს მიჩანს“.

აკად. ნ. მარი ერთ დროს<sup>1</sup> პირველი სტრიქონის ბოლოს ასე მართავდა: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ხოლო შემდეგში<sup>2</sup> ასეთს შესწორებაზე ხელი აიღო. სამაგიეროდ ბოლო სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა — „მიქია“, — რაც პირველად ხელუხლებლად გაუშვა, შემდეგში ასე დაანაწევრა: „(მითქვამს) მი-ქია“: გამოყოფილი „ქია“ კიდევ სპარსული qaya არისო, ე. ი. მეფეო. ამას გარდა ამავე სტრიქონის „შეფარვით“ მოცემული აქვს „შეფრქვევით“-ად.

\* პირველი წერილი იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVIb, 1944, გვ. 225—229.

<sup>1</sup> Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава...: ТР по арм.-груз. филология, кн. XII, СПб, 1910, стр. 2.

<sup>2</sup> И. Я. Марр, К Rust'iaveliana: Известия АН СССР, 1927, стр. 366.

3. ინგოროყვა თავის «რუსთველიანაში» პირველ სტრიქონს აკად. ნ. შარის პირვანდელი წაკითხვის სახით იღებს; მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვებს კი ასე წარმოადგენს: „არღამე! — განმიქიქია“, ხოლო მეოთხე სტრიქონის „შეთარვით“ მას შეცვლილი აქვს სიტყვა „შეთრფინვით“. წაკითხვათა შესწორებებზე ის შემდეგში ხელს იღებს, როგორც ეს ჩანს მისი ნაშრომიდან: შოთა რუსთაველი, ქართველი მწერლები შოთა რუსთაველსა, თბილისი, 1937, გვ. 240.

არ შევდივართ აქ იმის განსჯაში, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. აღნიშნავთ მხოლოდ მას, რომ ჩვენთვის ყველაზე მეტად საგულისხმო სიტყვა — „გამიქიქია“ — ყველგან უმეტნაკლებოდ ერთნაირად არის წარმოდგენილი.

დასახელებული მკვლევრები სხვადასხვანაირად განმარტავენ ამ სიტყვას. ვახტანგ VI გვიხსნის თავის კომენტარებში: „გაქიქება — გაწბილებათაო“. აკად. ნ. შარი და პროფ. იუსტინე აბულაძე მას განმარტავენ როგორც „იძვიპ — შერცხვენა“-ს, ხოლო პ. ინგოროყვას თარგმანით ის „შეურაცხებაა“.

თუ ამ სიტყვას ხსენებული ახსნის მხრით გავიზიარებდით, მაშინ მისი შემცველი სტრიქონის ასეთ თარგმანს მივიღებდით დასახელებულ ავტორებთან — ვახტანგ VI-სა, აკად. ნ. შარსა და პროფ. იუსტინე აბულაძესთან ის იქნებოდა: „ის მიმაჩნია დიდად სასახელოდ, რომ თავი არ შემირცხვენია-გამიწბილებათაო“; პაულე ინგოროყვას თარგმანი კი ერთს შემთხვევაში<sup>1</sup> ასეთია: „ეს არის სამარადისო ძეგლი სახელისა, აქ არ არის (— მარადი იყვეს მათი მეფობა! —) შეურაცხება“-ო, ხოლო მეორე შემთხვევაში<sup>2</sup> შემდეგია: „ესე მიჩანს დიდად სასახელოდ, აქ არ არის (— მარადი იყვეს მათი მეფობა! —) შეურაცხება“.

ასეთი განმარტებებიდან აშკარად ჩანს, რომ პოემის ავტორი თავის ნაწარმოებზე დიდი წარმოდგენისაა; სასახელოდ მიმაჩნია, რომ ქება ქარვად შევასრულე, თავი არ შემირცხვენიაო, ანდა სამარადისო ძეგლია ჩემი თხულება, აქ არ არის შეურაცხებაო, რაც ძველი ქართველი ავტორებისათვის ჩვეულებრივი არაა. ძველი ავტორები ყოველთვის თავდაბლები იყვნენ თავიანთი ნაწარმოებების შეფასებაში; პირიქით, ბოდიშს იხდიან ხოლმე მკითხველთა წინაშე, როგორც ეს მათ თხულებათა ანდერძ-მოსახსენებლებიდან ჩანს, — ეს არის და, სათანადოდ ვერ ვაქრულებთ განზრახულსო. საფიქრებელია, რომ შ. რუსთაველიც არ დაარტყვდა ძველს ასეთს ჩვეულებას და არ მიჰყოფდა ხელს კეცხას. ამდენად, მაშასადამე, საქმის ნამდვილი ვითარება სხვაგვარი უნდა იყოს, განსხვავებული იმისგან, რასაც ჩვენი რუსთველისტები წარმოიდგენენ.

როგორც ირკვევა, მართლაც ეს ასეა, არაა ზედმიწევნით გამოვლენებული სიტყვა „გამიქიქიას“ შინაარსი. ის, რაც ამ სიტყვის ქვეშ ჩვენ მკვლევრებს ესმის, მთლად სწორი არაა. დასახელებულ კონტექსტში იგი სხვა შინაარსს ატარებზ და არა მას, რასაც მკვლევრები გვაწვდიან.

<sup>1</sup> პაულე ინგოროყვა, რუსთველიანა I. თბილისი 1926, გვ. 113.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 115.

აღნიშნული გარემოება ძველი ქართული ძეგლების მოწმობათაგან ირკვევა, ისეთი კონტექსტებიდან, უმათავრესად პროზაული ნაწერებისა, რომლებიც დროით ახლოს დგას პოემის აღმოცენების ხანასთან. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (XI ს.) ბერძნულიდან შესრულებულ ერთ-ერთ თარგმანში, რომელსაც ენაშათა ცხოვრება ეწოდება, ისეთ მარჯვე ადგილს („თხრობას“) ვპოულობთ, საიდანაც ნათლად ირკვევა ჩვენთვის საინტერესო სიტყვის შინაარსი. თხრობა მოკლეა, მოვიყვანთ მას მთლიანად:

„სხუა ვინმე ძმა ბრძოლი იქმნა სიძვითა, და წარვიდა ღამითვე ბერისა ვისამე და მიუთხრა მას გულს-სიტყუანი მისნი. ხოლო ბერმან განამწიო იგი და ნუგეშინის სცა მას, და სარგებელ ეყო ძმასა მას, და წარვიდა სენაკად თვსად. და აჰა ესერა კულადაცა მოუკდა მას ბრძოლად იგი და კულადაცა წარვიდა ბერისა მის. ესე მრავალგზის ყო. ხოლო ბერმან არაოდეს შეაწუხა იგი, არამედ ახარებდნ უმჯობესსა და ეტყვნ: „ნუ სულმოკლე იქმნები, ძმაო, ნუცა დაქსნდები, არამედ უფროაჲსა რაოდენცა გებრძოდის მტერი, მოხვდოდე და განაქიქებდი მას, და თვთ იელტოდის იგი შენგან ძალითა ქრისტესითა. და რანეთუ არარაჲ ესრტო მოაუძღურებს მტერსა, ვითარ გამოცხადებჲა საქმეთა მათთაჲ და კულად არარაჲ ახარებს მათ ესრეთ, ვითარ დაფარვაჲ მათ მიერთა მათ გულს-სიტყუათა“ [საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი. № 1105, 138 r-v].

ამ თხრობიდან ჩანს, რომ მონაზონი, რომელსაც ღამით გონებაში ებრძვის ეშმაკი, რათა აღკუროს ის ცუდი ზრახვებით, არ იმარხავს თავის გულში მტრის აზრებს, არამედ ზედზედ მიდის სხვა ბერთან, უტყუდება მას ყველაფერში და უამბობს მას ეშმაკისაგან შთაგონებულ აზრებს. ცოყვასი ბერი ამხნევებს მას ნიადაგ და უნერგავს აზრს, — კარგად იქცევი შენ, შემდეგშიაც ნუ დაიზარებ ხოლმე მოსვლასა და ყოველთვის მტრის განქიქებას, რადგანაც ისე არაფერი არ აუძღურებს ეშმაკს. როგორც მისი საქმეების გაცხადება, გამოქვეყნება, გამოაშკარავება თუ გამხელა. და ისე არაფერი არ აზარებს მას, როგორც შთაგონებული აზრების დაფარვაო. აქიდან, არ შეეცდები, თუ დაეასკენი, რომ 1. ამ თხრობის მიხედვით განქიქება უიშნავს, როგორც იქვეა ნათქვამი, გაცხადებას, ან გამჟღავნება-გამოაშკარავებას, და 2. განქიქება-გაცხადების საწინააღმდეგო ცნება დაფარვა ყოფილა<sup>1</sup>.

გაცხადება, თუ გამჟღავნება-გამოაშკარავება. აქ ერთ პირთან ხდება, მაგრამ ამავე ძეგლის ერთი სხვა ადგილიდან („თხრობიდან“) ირკვევა, რომ ის დაჯარო ან საქვეყნო ხასიათისაც ყოფილა, მრავალთა საჩვენებლად, ხშირად საეციხელი ფორმით. თხრობა. რომელიც ამას ვეიმოწმებ, ასეთია:

„მოგვითხრა ჩუნთ თვისათჳს თვისისა ზამანან მაკარი, ვითარმედ: ოდეს ვიყავ ქაბუჯ და ვჯიდ სენაკსა შინა ჩემსა ეგვტეს, შემოპყრეს მე და წარმიყვანეს, და მაკურთხეს ხუცად ქალაქსა შინა. და ვინათგან არა მენება მე თავს დებად, ვიელტოდე სხუასა ადგილსა. და მოვიდა ვინმე ჩემდა გულსმოშიში ერისკაცი და წარიღებნ კელთსაქმარსა ჩემსა და მშსახურებნ მე.

<sup>1</sup> მსგავსი შინაარსით ჩანს ხმარებული განქიქება ძველი ქართულის სხვა ტექსტებშიც. ასე, მაგ., სინის მთის ერთ-ერთ ხელნაწერში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 233), რომელშიც დატულია თხზულება „პირველი სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ“, იკითხება; „ენისაგან განქიქნების ცნობაჲ, ვითარმედ არავინ ჰხედავს, და იგი სიტყუათაგან განცხადის“.

შემთხვა უკუე განსაცდელი ქალწულსა ვისმე დაბააა მას შინა და სოფელსა, რამეთუ დაეცა ვინმე მას თანა და მვესულად მუცლად იღო. და ვითარცა ჰკითხეს ჰს მშობელთა მისთა, თუ ვინ არს, რომელმან ქენა საკმე ეგე შენ თანა, მან მიუგო. — არა-ვინ სხუაჲ, თვნიერ განშორებული იგი. და გამოვიდეს მიერ დაბით და წარმიყვანეს მე. და დამოჰკიდეს ყელსა ჩემსა შებლაღულები კოჭბები და კეცის ყურები კოჭათაჲ, გან-მაქიქეს მე ქალაქსა შინა და უბანთა ზედა, მგუემდეს მე და მქტყოდეს: ამან მონა-ზონმან განზრწნა ქალწული ჩუენი...“<sup>1</sup> [საქართველოს მუხეუმის ხელნაწერთა A ფონდი, № 1105. 348f].

მოყვანილ ადგილებში განქიქებას რომ ჩვენ მიერ მოგნებული შინა-არსი მოეპოვება და სხვა არაფერი, ეს ჩვენი ძველის სომხური თარგმანითაც დასტურდება. ძველი სომხურის დასახელებული ძველის ორსავე თხრობას შე-სატყვისად *հրապարակել* მოეპოვება [1. «*Որքան պատերազմի ընդ զից թըշ-նամխն, իկ առ իս և հրապարակես գնա. և ինքն փոխի ի զն շուր-հօքն Քնի. քանի որ ինչ այնպէս յալիքէ նա որպէս յայտն և ըն զգործս նորա, և դարձալ որ ինչ այնպէս զգրացուցանէ գնա իրբ և զծածկ և ըն... 2. ի. և և և և ի զիցն տարան անդր դիս, և կայսքին ի պարանոցի իմոս պერიլ լի կնիւն և ինկունս կծոց և հրապարակեցին գիս այսպէս զըջիւլւցանիլով ի փոզիցս...»<sup>1</sup>], რაც გარეთ თუ საქვეყნოდ გატანას, ცხადად ქცევას. ამბის გავრცელება-განთქმას, ან. ძველი ქართულით რომ იტყოდნენ — „სანჯემო ყოფას“ უდრის. მაგრამ ეს მაინც არ არის ერთადერთი სომხური შესატყვისი ქართული განქიქებისა. უკანასკნელის ბაღლად გვეხდება *խայკաս-ուակել-ու*, რაც წარმოქმნილი ზნნა *խայკասուակ* სახელისაგან. თითონ სახელი შედგენილ სიტყვად ითვლება: *խայკ* („ნიშანი“) + *ուակ* („იგავი, არაკი“), ე. ი. საარაკო, სამარცხენო..., რის გამო *խայკասուակել-ს* ქართულში შესატყვისად შეერცხვენაც მოეპოვება, ე. ი. ის, რაც, როგორც ენახეთ, საჯარო გაცხადებას, თუ გამჟღავნებას, თან სდევს.*

ებლა თუ «ვეფხისტყაოსნის» შემომოყვანილი სტროფის გამიქიქიას შეძ-ცველ სტრიქონს დაუბრუნდებით, მისი შინაარსი ასეთი გახდება: „ეს მიჩანს (მიმაჩნია) დიდად (ფრიალ) სასახელოდ, რომ თავი (ჩემი მე) არ გამიცხადებია, ან არ გამიმჟღავნებია“-ო, ე. ი. ჩემი, ანუ ავტორის, ვინაობა ან დამოკიდებუ-ლება შესაქმნ პირთან არ გამიცხადებია, ან არ გამიმჟღავნებია.

ასეთი ახსნა-განმარტების შემდეგ მოსალოდნელია მაინც კითხვა: თუ თავი არ გაუქიქია, ე. ი. არ გაუცხადებია. ეგების დაუფარავსო. ასეთ შეკითხვაზე

<sup>1</sup> «*Որք սրբոյ հարսնց և քայաքապարտի թիւր շուքն ըստ կրկին խարգանու թխան նախնայ. Վենետիկ 1855, հատ. I, გვ. 651 და հատ. II, გვ. 324.*

<sup>2</sup> მსგავსივე შინაარსით განქიქებას ვხვდებით მუქსიმე აღმსარებლის ცხოვრება-შიც (იხ. Keimena გვ. 93, § 29): „განჯანით თქუენ ზედა, მაქსიმე მონაზონო, — ეუბნებიან ეპარხოსის პირით მაქსიმესა და მის ამბანაგებას მევე და მისი მსაჯულნი — ... და უბრძანებთ დიდებულსა ეპარხოსსა, რა წარმოვადგინეს ქალაქეტობისა მისისა სამშჯავროსა და შოლ-ტითა ზურგი თქუენი ლუწკალოდ გუემოს და მერმე ენანი სამთანივე ძირით აღმოგუყუთნეს და შარჯუნანი კელნი, მწერალნი გლობათანი, მახლითა დაგუყუთნეს და შემდგომად დაჭრისა ბო-როტთა მათ ასოთა თქუენთა განგაქიქნეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეუფოთა ამის ქალაქისათა, და შემდგომად განქიქებისა მის წარგავლინეს სამარადისოსა ექაორიობასა და კურობილობასა კერძოთა სამეგრელოთათა...“

პასუხს სტროფის უკანასკნელი სტრიქონი უნდა იძლეოდეს, სადაც ნათქვამია ჩემი თავი ან სახელი კი არა „მისი (ე. ი. ვისაც ავტორი ქებას უძღვნის) სახელი შეფარვით (ე. ი. დაფარვით) ქვემოთ მითქვამს, მიქიაო“.

გა(ნ)ქიქება (ანუ გაცხადება) და დაფარვა, რომლებიც «მამათა ცხოვრებისა ზემომოყვანილი თხრობიდან ურთიერთის დაპირისპირებით საწინააღმდეგო ცნებების გამოსახატავად იყვნენ ნახმარი, აქაც დაპირისპირებული ჩანან: თავი (ე. ი. ჩემი მე, სახელი) მე არ გამიცხადებია, დაფარე ან შევაფარე კი მისი (შესაქები არსების) სახელიო:

„ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია...  
 მისი სახელი შეფარვით, ქვემოთე მითქვამს, მიქია“.

ასეთი კომენტარიდან ძალაუფებურად ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვეფხისტყაოსანშია ავტორის, შოთა რუსთაველის, სახელი თუ პიროვნება გაცხადებული, ე. ი. გამჟღავნებული არ არის, ხოლო მისი ხელშეწყნებისა, ე. ი. თამარისა, შეფარვით არის თქმული და შექცეული.

თუ აღნიშნული განცხადება პოემას პროლოგ-ეპილოგთანად ეხება. მაშინ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 1. ადგილები, რომლებშიც რუსთაველი იხსენიება (და ეს კი პროლოგ-ეპილოგშია მხოლოდ სამგან), ყალბია და მხარს უჭერს იმათ მტკიცებას, რომლებიც ასეთ სტროფებს მეტწილად ყალბად მიიჩნევენ (ნ. მარისა, პ. ინგოროყვასა და სხვ...), 2. ზედმეტია შიება რომელიმე გმირი მამაკაცის სახეში ავტორისა და 3. თამარი კი (ვისდამიც პოემა მიძღვნილი) ამოსაკითხავია გმირი ქალების წყებაში.

\* \* \*

„განქიქებას“ ძირი ქიქ არის. უნებლიეთ იგი გვაგონებს „ქექა“-ს, რომლის ძირია ქექ, რაც ხმოვანშენაცვლებულიც შეიძლება ვივულოთ: ქიქ. ამ ქექ თუ ქიქ-ს განქიქების ქიქ-თან შინაარსობლივი კავშირიც უნდა ჰქონდეს, მთლად შემთხვევითო არ უნდა იყოს ამ ორი სიტყვის ძირის ზგერობლივი შესხვედრა.

ფონემურად მსგავსი ძირი მოეპოვება სომხურსაც. ეს არის *քիք*, რომელიც დამოუკიდებლად არ იხმარება, არამედ დაცულია წარმოქმნილს მეტად აშვიათ სიტყვაში, *քիքილის* ში, რაც „დამცინავ სიცილს, ხარხარს“ აღნიშნავს სომეხი ლექსიკოგრაფების ახსნით.

ამას გარდა სომხურში ყოფილა ხმარებული, როგორც ეს ჩანს ერთ-ერთი ძველი ლექსიკონიდან, რომლის ავტორია XVII ს-ის მოღვაწე ერემა ვარდაპეტი (გამოცემულია 1698 წ.), *քիքილ*, რაც განმარტების თანახმად შიშველობას (*միქիանալ*-ს) აღნიშნავს. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ. წ. პროფ. პრ. აქარიანს ძველ სომხურ მწერლობაში ამ სიტყვის ხმარების მხოლოდ ერთი მაგალითი აქვს შენიშნული. მაგრამ არა ერემიასაგან ნაჩვენები მას-ღარის სახით. არამედ აბსტრაქციულ სახელის ფორმით: *քիքილქილ* (აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელს ვარიანტად ჰქონია ნუსხებში *քიქილქილ*). მითითებული მოწმობის მიხედვით პროფ. პრ. აქარიანი მის შინაარსს ზედ-

მიწვევით ვერ აღგენს: „საფიქრებელია ჟურცხვობა, შეურაცხყოფა იყოსო“. ერემიას ახსნა კი მას მართებულად არ მიაჩნია: „ის წინამავალი სიტყვის მიდევნებისაგან წარმოდგება უცილობლად“. ერემიას მიერ მოყვანილი ფორმითა და პროფ. პრ. აჭარიანისაგან დამოწმებული წყაროს სახით ამ სიტყვებს ადგილი უპოვია გაბამაჭიანის სომხურ ლექსიკონში (გამოცემულია კოსტანტინეპოლს, 1910 წ.), სადაც ისინი განმარტებულია „შეურაცხყოფელ დაცინვად ან უგუნურ სიცილად“, რაც პროფ. პრ. აჭარიანის თქმით (იხ. მისი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, VI, 1469 გვ.) *ჰსჰილმ*-იდან მომდინარეობენ.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ პროფ. აჭარიანი შინაარსობრივ-ორგანულ კავშირს ვერ ხედავს *ჰსჰილმ*-სა და *ჰსჰსილქან* თუ *ჰსჰილქან*-ს შორის. მაგრამ თუ გოვიგონებთ ზემოთ „გა(ნ)ქიქებასთან“ დაკავშირებით მოყვანილ მოწმობებსა და ჩვენ განმარტებებს, აშკარა გახდება, რომ სომხურშიც საქმე გვაქვს ერთისადაიმავე სიტყვის ერთნაირ ხმარებასთან: ერთ შემთხვევაში — *ჰსჰილმ* = დაცინვასთან — და მეორე შემთხვევაში — *ჰსჰსილქან* თუ *ჰსჰილქან* = გაშიშვლება-გამოაშკარავებასთან. ამასთან მართალი ჩანს ერემიას ვარდაპეტის ახსნაც, თუნდ იმ მოწმობიდანაც, რომელიც პროფ. პრ. აჭარიანს მოჰყავს: *სი. სერაყარანხაქ. დხიქ იხ რკილქხანს ლიქი ჰსჰსილქხანს (ვარ. ჰსჰილქხანს) ადბილქხამრ*“, სადაც *ჰსჰსილქხანს* თუ *ქსჰილქხანს* უნდა აიხსნას არა *ადბილქხამრ*-თან დაკავშირებით, არამედ *მხრკილქხანს*-თან.

დიდად შეზღუდული ხმარება ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ძირისა სომხურში და მისი შედარებით მკაფიო შინაარსი და დღევანდელი ხმარება ქართულში ამ სიტყვის ქართულობას გვაეარაუდებინებს. რამდენად მართებულა ჩვენი გუმანი, ეს მომავლის საქმეა, როცა უფრო მეტად გაგვიმრავლდება მაგალითები და ჩატარდება მიმოკითხვაც ამ სიტყვისა ქართულის მონათესავე ვნებში.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქველი ქართული ვნის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 5).

И. В. Абуладзе

## Из лексики Вепхисткаосани

### „გაქიქება“

Автор ставит целью представить новое толкование слова *გაქიქება*, встречающегося в одной из строф пролога Вепхисткаосани. В указанном месте, по мнению автора, *გაქიქება* означает не „опозорить“, как это трактуется у Н. Я. Марра, Ю. Абуладзе, П. Ингорок-ва и др., а „опубликовать, оглашать, показать или открыть“. Последнее автор устанавливает на основе привлечения показаний других грузинских текстов, с сличением некоторых из них с армянскими материалами. При этом увязывает также корень *ქიქ* слова *გაქიქება* с корнем армянских слов *քիքուիւթիւն* или *քիքուիւթիւն* и *քիքումն*.

---